პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 21 მაისი, 1944 წ. № 102 (7046). ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერთა აკადემიის ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

პოლიტიკური მოხსენებები სოფლად (მოწინავე).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან 20 მაისის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).
მიმართვა სსრ კავშირის მშენებლობის სახალხო კომისარიატის „აზოვსტალსტროის“ და № 22 ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა კოლექტივებისა (1-ლი გვერდი).
გ. ბროდვარსკი — საუბარი ახალგაზრდა კომუნისტებთან.—პარტიის წევრთა მოვალეობანი და უფლებანი (მე-2 გვერდი).
მათ თავი ისახელეს საბჭოთა პირიმისათვის ბრძოლებში (მე-2 გვერდი).
ვარლამ ჟურული — სევასტოპოლი (ლექსი. მე-2 გვერდი).
ა. ჯეჟია — კომუნისტები გამარჯვების მოსავლისათვის ბრძოლაში (მე-3 გვერდი).
გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგში ხელოვნით (მე-3 გვერდი).
ს. მთვარაძე — ფარეხში (მე-3 გვერდი).
პონტორე დე ბალზაკი (მე-4 გვერდი).
პროფესორი ვუკოლ ბერიძე — როგორ იწერება პიროვნების ქართული საკუთარი სახელები რუსულად? (მე-4 გვერდი).
გრ. ნუცუბიძე — „მზის დაბნელება“ (მე-4 გვერდი).
მ. კალანდაძე — პირველი დღე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

პოლიტიკური მოხსენებები სოფლად

დიდი სამამულო ომის პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. აგიტატორთა მრავალრიცხოვანი არმია ყოველდღიურად აცნობს მოსახლეობას მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ და საერთაშორისო ამბებს. პროპაგანდისტები დაუღალავად მუშაობენ სოფლის აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკების სისტემატურმა გამოსვლამ მოხსენებებით პოლიტიკურ თემებზე. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში მოხსენებებით მიმდინარე მომენტისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ხშირად გამოდიან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაკები, საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნები, სახალხო კომისრები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები.

საქართველოს კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებთან შექმნილია მომხსენებელთა ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებული არიან ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები და მოწინავე ინტელიგენცია. ეს ჯგუფები დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან სოფლად. მომხსენებელთა ჯგუფში, რომელიც საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომთან არსებობს, გაერთიანებულია 26 კაცი, მათ შორის რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები, რაიაღმასკომის მუშაკები, სკოლების დირექტორები. მომხსენებელთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს. ისინი სერიოზულად ემზადებიან კოლმეურნეობებში მოხსენებებით გამოსვლისათვის. მსმენელები მათი მოხსენებით კმაყოფილი არიან. საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომთან არსებულ მომხსენებელთა ჯგუფში 47 ამხანაგია გაერთიანებული. გასული წლის სექტემბრიდან მიმდინარე წლის აპრილამდე ამ ჯგუფმა რაიონში ჩაატარა 319 მოხსენება. აქ მოხსენებები პოლიტიკურ თემებზე თითქმის ყოველთვიურად ტარდება თვითეულ კოლმეურნეობაში. ასევე კარგად მუშაობს მომხსენებელთა ჯგუფი ხულოს რაიონში. რაიკომის პირველი მდივანი ე. ტაკიძე თვეში 4-5 კოლმეურნეობაში მაინც გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ. სისტემატურად ატარებს მოხსენებებს რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამბ. დ. მამულაძეც.

მიმდინარე სამხედრო და პოლიტიკური ამბების ახსნა-განმარტებას მომხსენებლები უკავშირებენ კოლმეურნეობის კონკრეტულ ამოცანებს და რაზმავენ კოლმეურნეიბს პარტიისა და მთავრობის დავალებათა პირნათლად შესასრულებლად. კოლმეურნეიბი მოხსენებებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ. მოხსენებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სამეურნეო მუშაობის დარგში წარმატებათა მოპოვებაზე.

სოფლად პოლიტიკური მოხსენებების ორგანიზაციის საქმეში ჯერ მაინც მოვლენილია სერიოზული ნაკლოვანებანი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში „სოფლის მოსახლეობისათვის პარტიული და საბჭოთა მუშაკების პოლიტიკური მოხსენებების ორგანიზაციის შესახებ“ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს ერთ-ერთნახევარ თვეში მაინც ეწყობოდეს კოლმეურნეთა კრებები მოხსენებებით ან საუბრით მიმდინარე სამხედრო და პოლიტიკურ ამბებზე. ეს დადგენილება ზოგიერთ რაიონში არ სრულდება. მაგალითად, ცხაკაიას რაიონის რვა კოლმეურნეობაში 7 თვის განმავლობაში მოხსენება ერთხელაც არ ჩატარებულა, 21 კოლმეურნეობაში ჩატარდა მხოლოდ თითოჯერ, 12 კოლმეურნეობაში ორ-ორჯერ. საგარეჯოს რაიონში 7 თვის განმავლობაში მოხსენება თითოჯერ ჩატარდა 4 კოლმეურნეობაში, ორ-ორჯერ 16 კოლმეურნეობაში. პოლიტიკური მოხსენებების ორგანიზაცია ცუდად არის დაყენებული ყარაიის რაიონში.

პარტიის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები და პარტკაბინეტები ჯერ კიდევ საკმაო დახმარებას არ უწევენ მომხსენებლებს, ხშირად არ აწოდებენ მათ ინფორმაციას ახალი ამბების შესახებ და არ ამარაგებენ საჭირო მასალებით. ძალიან იშვიათად, ხოლო ზოგჯერ სრულებითაც არ იმართება მომხსენებელთა თათბირები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

სუსტად არის დაყენებული ჩატარებული მოხსენებებისა და საუბრების ხარისხის შემოწმება. ბევრგან არ ხდება ცალკეული ამხანაგების მოხსენებების განხილვა მომხსენებელთა ჯგუფის სხდომაზე.

ზოგიერთი მომხსენებელი საკმაო სერიოზულობით არ ეკიდება მოხსენების მომზადებას. იყო შემთხვევები, რომ დანიშნული მოხსენებები ჩაიშალა მომხსენებელთა მიზეზით. ეს აღვნიშნეთ უნდა იქნას.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სოფლად პოლიტიკური მოხსენებების ჩატარების დარგში?

პირველი, — საჭიროა პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა პოლიტიკური მოხსენებების ორგანიზაციის საქმისადმი, ბიუროს სხდომაზე ხშირად განიხილონ გაწეული მუშაობის შედეგები და დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ თვითეულ კოლმეურნეობაში ყოველ ერთ-ერთნახევარ თვეში ერთხელ მაინც კოლმეურნეთა კრებაზე ჩატარებას მოხსენებით ან საუბრით მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო ამბებისა შესახებ.

მეორე, — საჭიროა პერიოდულად იმართებოდეს მომხსენებელთა სარაიონო თათბირები გაწეული მუშაობის შესაჯამებლად და გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად. უნდა შემოვიღოთ მომხსენებელთა ჯგუფზე ერთი ან რამდენიმე ამხანაგის მოხსენების განხილვა, რაც ყველა მომხსენებელს დაეხმარება უკეთესად შეარჩიოს და დაალაგოს მასალა, აამაღლოს მოხსენების ხარისხი.

მესამე, — საჭიროა გაძლიერდეს დახმარება მომხსენებლებისადმი პარტიის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებისა და პარტკაბინეტების მხრივ. სისტემატურად უნდა ეწყობოდეს სპეციალური ლექციები და კონსულტაციები მომხსენებელთათვის, აღგიბოდეს ლიტერატურისა და მასალების სარეკომენდაციო სიები, მუშავდებოდეს ამა თუ იმ საკითხზე მოხსენების გეგმები.

ბოლოს, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სოფლად მოხსენებების ჩატარების ორგანიზაციულ მხარეს. მოხსენების დრო და საათი წინასწარ უნდა იცოდნენ სოფლის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. თავის მხრივ მათ ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა მოხსენებას რაც შეიძლება მეტი ხალხი დაესწროს.

პოლიტიკურ თემებზე მოხსენებით გამოსვლა თვითეული პარტიული და საბჭოთა მუშაკის პასუხსაგები და საპატიო საქმეა. ბოლშევიკური პარტია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ამ საქმეს თავის რჩეულ შვილებს ავალებდა. ახლაც, დიდი სამამულო ომის პერიოდში, მგზნებარე ბოლშევიკური სიტყვა მასებში შეაქვთ ჩვენს საუკეთესო ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა კადრებს. ეს კადრები სიტყვით და საქმით რაზმავენ საბჭოთა ადამიანებს ახალ-ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად, დიდი **სტალინის** მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

ამჟამად ჩვენი მომხსენებლების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების ამოცანაა თვითეულ მშრომელს გააცნონ დიდი **სტალინის** საპირველმაისო ბრძანება, დარაზმონ მასები უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად, ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად, ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად.

ПОЛИТИЧЕСКИЕ ДОКЛАДЫ НА СЕЛЕ

Великая Отечественная война в корне изменила политическую работу на селе. Агитаторы, пропагандисты, политические руководители колхозов, МТС, совхозов, партийные, комсомольские и профсоюзные организации, политотделы МТС и совхозов, партийные и советские органы, политические отделы и политотделы, партийные и комсомольские организации, политические отделы и политотделы, партийные и комсомольские организации, политические отделы и политотделы, партийные и комсомольские организации

მათ თავი ისახელეს საბჭოთა ყირიმისათვის ბრძოლებში

გმირი მეზღვაური

თვითონ არაფერს იწერებოდა საკუთარ საბრძოლო ცხოვრებაზე, თუმცა მრავალჯერ უსახელებია თავი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ვაჟკაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მას სამი საბრძოლო ორდენი აქვს მიღებული.

და აი რამდენიმე ხნის წინათ თბილისის 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-სტახანოველმა გიორგი საბას-ძე კანანაძემ შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მეთაურისაგან წერილი მიიღო.

„სალამი პატივცემულ ალექსანდრე გიორგის-ძე კანანაძის მშობლებს!,—იწერებოდა ქვეგანაყოფის მეთაური ამხ. პოგორლიუკი,—თქვენი შვილი, რომელიც უკვე სამი ორდენის კავალერია, მსახურობს ჩვენს ნაწილში. მან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალჯერ ისახელა თავი. ვიმედოვნებთ, რომ იგი კვლავ ღირსეულად გაამართლებს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ნდობას. ასეთი საამაყო შვილის აღზრდისათვის სარდლობის დავალებით გითვლით გულითად მადლობას".

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ალექსანდრე გიორგის-ძე კანანაძე

საბჭოთა კავშირის გმირებმა,—როგორც გაზეთი „პრავდა" სწერს,—ლეიტენანტმა როგჩევსკიმ და მისმა ამხანაგებმა მეტორპედეებმა—კანანაძემ, კოტოვმა, კოჩეიევმა და კუდირსკიმ არა ერთხელ მიიღეს მონაწილეობა შავ ზღვაში მტრის გემებზე გაბედულ თავდასხმებში და პირველებმა გახსნეს ზღვაში მტრის სადესანტო კარჭაპების ჩაძირვის ანგარიში.

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ალექსანდრე გიორგის-ძე კანანაძე დაიბადა 1918 წელს. 1930 წელს დაამთავრა შვიდწლედი. შემდეგ სწავლობდა ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შევიდა ქალაქ სევასტოპოლის საზღვაო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. ამხ. ა. კანანაძე სამამულო ომის დაწყებიდან ფრონტზე იმყოფება და დაუნდობლად ანადგურებს ვერაგ მტერს.

მ. საკარული

საბჭოთა კავშირის გმირი უფროსი ლეიტენანტი ამხ. ა. გ. კანანაძე

ვარლამ ჟურული

სევასტოპოლი

იგი სიმტკიცით გრანიტს გვაგონებს,
დგას როგორც კლდე და არა ჰყავს ტოლი.
სიახლის დუდილში ფლეთდა დრაკონებს
შავი ზღვის დევი—სევასტოპოლი.

ლამაზ ყირიმის მედგარ გოლიათს
გუშაგობს დათხრილ მთების კრებული.
მას ნახიმოვიც მცველად ჰყოლია
ბრინჯაოს ძეგლით ამხედრებული.

ხმლისკენ ეძახის მამაც ადმირალს,
მშობლიურ ფლოტის ბრწყინვა, დიდება.
გმირმა თუ მტერზე არ ინადირა
იარაღს ჟანგი მოეკიდება.

თვალწინ იშლება ზღვის სანაპირო.
უვლის თოლია ჩაძირულ გემებს,
მტერმა გაქცევა რომ დააპიროს
ყოველი ტალღა სიკვდილს აგემებს.

გაცოცხლებულა, იბრძვის, მოქმედებს
ძველი ყირიმის ქალაქი ლომი.
უცქერის ღრუბლებს — ნატყვიარ გედებს
დღეს მაისური ლაჟვარდის მდომი.

ხედავს: მოადგა ჩვენი ლაშქარი,
ისმის ყიჟინი, სრული, გუგუნი;
ბოლავს, ბომბებით ნაკაშაშარი,
მიწა დამწვარი, გადაბუგული.

ბოლავს ქალაქი და როცა გრგვინვით
მტერს ანადგურებს შემტევი ჯარი,
ნახიმოვიც კი დაფნის გვირგვინით
მეომრებს ხვდება ნანგრევთან მდგარი.

ხედავს: მოსულა აქ გაზაფხული,
ბაღს კვლავ ბალახს ვარდი, ფოთოლი,
აღსდგა ყუმბარით მკერდგადახეული
შავზღველთა გული — სევასტოპოლი.

გენერალ-მაიორი ვალერიან სერგოს-ძე ძაბახიძე

გენერალ-მაიორი ვალერიან სერგოს-ძე ძაბახიძე სამამულო ომის პირველივე დღეებიდან ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია.

ამხ. ვ. ს. ძაბახიძე დაიბადა 1903 წელს ვანის რაიონის სოფელ ქვედაბუნაში გლეხის ოჯახში. მამა-მისი სერგო ივანეს-ძე მოჯამაგირედ მუშაობდა, მიუხედავად ოჯახის უკიდურესი ეკონომიური მდგომარეობისა, 17 წლის ვალერიანმა წარმატებით დაამთავრა საშუალო სასწავლებელი თბილისში, რის შემდეგაც იგი კვლავ უბრუნდება სოფელს და მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს მხარში უდგება. 1922 წელს, უკვე კომკავშირელი, მოხალისედ შედის სამხედრო-სასპორტო სკოლაში, ხოლო 1923 წელს ვალერიან სერგოს-ძე ძაბახიძე ჩარიცხულ იქნა სამხედრო სასწავლებელში.

1923 წლიდან იწყება მისი მხედრული ცხოვრება. მას შემდეგ ახალგაზრდა საბჭოთა მეთაურობა, როგორც მრავალმა სხვა საბჭოთა ოფიცერმა, გაიარა წითელი არმიის თითქმის ყველა სამეთაურო საფეხური. იგი იყო ზემდგომი, ოცეულის მეთაური, ასეულის მეთაური და ა. შ ამხ. ძაბახიძემ წარმატებით დაამთავრა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია.

ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე საქართველოს სსრ სამხედრო კომისარ ამხ. ძაბახიძეს იცნობდნენ საქართველოს მშრომელები როგორც სამშობლოს ღირსეულ შვილს. ამიტომ გამოუცხადეს მას ნდობა და აირჩიეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

სამამულო ომის დღეებში ამხ. ძაბახიძე დაჯილდოებულ იქნა „წითელი გარსკვლავის" ორდენით.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთ-ერთ სასტიკ ბრძოლაში ამხ. ძაბახიძე თავჩრა. მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, მას ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და კვლავ განაგრძობდა თავის მებრძოლებთან ერთად მოქმედებას, პირველ ჭრილობაზე ჯერ კიდევ სისხლი არ შეშრობოდა, რომ ბომბის ნამსხვრევით იგი ხელმეორედ დაიჭრა.

ამხ. ვ. ს. ძაბახიძე უკვე განიკურნა ჭრილობებისაგან და კვლავ წითელი არმიის რიგებშია. რიგითი მებრძოლების, სერჟანტებისა და ოფიცრების საუკეთესო მეგობარი და მკაცრი მომთხოვნი მეთაური — ასეთია გენერალ-მაიორი ვალერიან სერგოს-ძე ძაბახიძე.

— ჭრილობები მომირჩა,—ამბობდა იგი, — მაგრამ შურისმგების გრძნობა სამშობლოს მტრისადმი, გერმანელი ოკუპანტებისადმი ჩაუქრობელია ჩემს გულში, ჩვენ არ დავუვიწყებია არც კრასნოდარის „დუშეგუბკები" და არც ყირიმის შავი თხრილები, მტერი სამაგიეროს მიიღებს ჩვენი ჭრილობებისათვის და ჩვენი მამების და ძმების სისხლისათვის.

მამაცმა და უნარიანმა მხედართუფროსმა შეასრულა თავისი სიტყვა. მან სასტიკად აზღვევინა ფაშისტ მტაცებლებს ყირიმში ჩადენილი შეშხარავი საქმეებისათვის. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და გაბედული ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის გენერალ-მაიორი ვალერიან სერგოს-ძე ძაბახიძე დაჯილდოებულია სუვოროვის II ხარისხის ორდენით.

კაპიტანი ალ. გოგიაშვილი



განთავისუფლებულ სევასტოპოლში. საბჭოთა ტანკი ლენინის ქუჩაზე.
ფოტო ე. ხალდეისა და ბ. ფელიაშევისა („პრავდის" ფოტოქრონიკა).

მაიორი ა. ხარაგიშვილი

ახალგაზრდა ოფიცერი ალექსანდრე ამბერკის-ძე ხარაგიშვილი დაიბადა 1916 წელს ხარაგოულის რაიონის სოფელ ღვერკაში.

პირველი საბრძოლო ნათლობა იმხ. ა. ხარატიშვილმა კიევის მისადგომებთან მიიღო. იგი ბატარიას მეთაურობდა. ეს ადგილი, სადაც მის ბატარიას საცეცხლე პოზიციები ეკავა, ყველაზე პასუხსაგები უბანი იყო კიევის მისადგომებზე. ერთ-ერთი გაფთრებული ბრძოლის დროს მტერმა ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგ 30 ტანკი გამოუშვა. ამხ. ა. ხარატიშვილის გაწვრთნილმა მეომრებმა გრიგალისებური ცეცხლი შეაგებეს მტრის ჯავშნიან ურჩხულებს და 10 ტანკი ნამსხვრევებად აქციეს. მტრის დანარჩენმა ტანკებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან. ასე ჩაშალეს მამაცმა მეომრებმა მოწინააღმდეგის ცდა—გაეღწიათ ჩვენი თავდაცვა და დაეკავებინათ უდიდესი მნიშვნელობის მაგისტრალი. ამ ბრძოლაში დაიჭრა ა. ხარატიშვილი, მაგრამ საბრძოლო ოპერაციის დამთავრებამდე იგი ხელმძღვანელობდა ბატარიას.

დიდი ბრძოლები გადაიხადეს შშობლიურ ყირიმის განთავისუფლებისათვის ამხ. ხარატიშვილის ქვეგანაყოფის არტილერისტებმა. ხარატიშვილი ყოველთვის უნერგავდა თავის მეომრებს მამაცური და ჭარნიანი მოქმედების ტაქტიკას. იგი ხელმძღვანელობდა თავისი ქვეგანაყოფის ბრძოლას ქერჩის ნახევარკუნძულზე და ქვემეხების პირდაპირი დამიზნებით მტრის რამდენიმე საცეცხლე წერტი, სალმარ მასალათა საწყობი და მრავალი ჰიტლერელი გაანადგურა. ქერჩის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მაიორ ა. ხარატიშვილის ქვეგანაყოფის არტილერისტებმა საბრძოლო ამოცანა წარმატებით შეასრულეს, რისთვისაც მისი მეომრების ჯგუფი წარდგენილ იქნა მთავრობის ჯილდოზე.

ამას წინათ მაიორ ა. ხარატიშვილის ქვეგანაყოფმა საბრძოლო წითელი დროშა მიიღო.

მაიორი ა. ხარატიშვილი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცური, გაბედული, უნარიანი მოქმედებისათვის და სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულია წითელი გარსკვლავის და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით. ქერჩის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლების დროს ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის სარდლობის მიერ წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

ამხ. ა. ხარატიშვილი ნიჭიერ, უნარიან ახალგაზრდა საბჭოთა ოფიცერთა ჯგუფს ეკუთვნის. იგი დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს მეომრებს შორის. მაიორ ა. ხარატიშვილის ქვეგანაყოფმა უდიდესი სახელი მოიხვეჭა სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

უფროსი ლეიტენანტი ა. ბერუჩევი

საუბარი ახალგაზრდა კომუნისტებთან

პარტიის წევრთა მოვალეობანი და უფლებანი

ბოლშევიკური პარტიის ისტორია არის ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ისტორია. სამამულო ომის დღეებში პარტია აღაფრთოვანებს და რაზმავს საბჭოთა ხალხს გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. პარტიის წევრობა მუდამ აკისრებდა კომუნისტებს პასუხსაგებ მოვალეობას, ომის დღეებში პარტიის წევრობა დაკავშირებულია ყოველი ჩვენგანის მზადყოფნასთან მტრის განადგურების საქმეს მოაბმაროს მთელი თავისი ძალები, ნიჭი და, თუ საჭირო გახდა, თავისი სიცოცხლე.

სპატიოა ბოლშევიკის სახელწოდება. არაფერია იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის სახელწოდება, ამ პარტიისა, რომელიც დააარსეს და გამოზარდეს დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა. „ყველას როდი შეუძლია იყოს ასეთი პარტიის წევრი. ყველას როდი შეუძლია აიტანოს ის გაჭირვება და ქარიშხალი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან, მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, უზომო შევიწროებათა და გმირულ თავდადებათა შვილები—აი ვინ უნდა იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრები" (ი. სტალინი).

პარტია თავის რიგებში მისაღებად არჩევს საუკეთესო ადამიანებს მუშათა კლასიდან, გლეხობიდან, ინტელიგენციიდან, ამათ, ვინც საქმით დაამტკიცა, რომ მისთვის ძვირფასია პარტიის ინტერესები და რომ იგი მზად არის იბრძოლოს ლენინ-სტალინის პარტიის ძლევამოსილი დროშით.

მაგრამ შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ მას შემდეგ, რაც კაცმა გაიარა საკანდიდატო სტაჟი, მიღებულია საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში და მიიღო პარტიული ბილეთი, იგი ერთბაშად გახდა მტკიცე, გამოცდილი ბოლშევიკი? არა. მარქსისტულ-ლენინური კოდექსი, სიფხიზლე, დისციპლინა, მასების დარაზმვის უნარი ერთბაშად როდი შეიძინება. ბოლშევიკის ეს თვისებები ინერგება, იქედება ყოველდღიური მუშაობით პარტიულ ორგანიზაციაში, სიძნელეებსა და დაბრკოლებებთან ბრძოლაში. კარგი, უნარიანი ორგანიზატორიც, პროპაგანდისტიც, აგიტატორიც ხომ განუწყვეტლად იმოდგრეს გამოცდილებას, მუშაობს თავის თავზე. სხვანაირად მას საფრთხე მოელის ჩამორჩეს ცხოვრებას. მით უმეტეს არსებითად საჭიროა ეს პარტიის ახალგაზრდა წევრისათვის. 1920 წელს პარტიაში მნიშვნელოვანი შეცვლის მიღებასთან დაკავშირებით ლენინი აღნიშნავდა, რომ პარტიული ორგანიზაციების წინაშე სდგას ამოცანა—„უაღრესად სწრაფად, წარმატებით, საქმიანად დავეხმაროთ პარტიის ამ ახალ წევრთა აღზრდის დამთავრებას, დავეხმაროთ მათგან კომუნიზმის მშენებელთა კადრების გაკეთებაში".

მაშასადამე, პარტიის წევრის ჩამოყალიბება უწინარეს ყოვლისა ხდება პრაქტიკულ საქმეობაზე. ჩვენი პარტიის წესდება,—მასში კი გამოხატულია პარტიის საორგანიზაციო გამოცდილება, დაგროვებული მისი საქმიანობის მთელი ხნის განმავლობაში,—აბეზარს, რომ პარტიის წევრობის ერთ-ერთი მთავარი პირობა არის პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობა. ეს მუშაობა თავისი შინაარსით მრავალგვარია. პარტიის წევრები მუშაობენ ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, ტრანსპორტზე, სამეცნიერო დაწესებულებებში, სახელმწიფო აპარატში, წითელ არმიაში, ფლოტში. მაგრამ სადაც უნდა იყოს კომუნისტი, რა სამუშაოსაც უნდა ასრულებდეს იგი, სადაც უნდა გაგაზავნოს იგი პარტიამ,—ყველგან და ყოველთვის პარტია მოითხოვს, რომ იგი წმიდად ასრულებდეს ბოლშევიკური პარტიის წევრის მოვალეობას.

* * *

პარტიის წევრის მოვალეობანი ნათლად არის ჩამოყალიბებული საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების მეორე პარაგრაფში. ისინი შეიცავენ ოთხ მოთხოვნას პარტიის წევრისადმი.

პარტიის წევრი ვალდებულია „დაუღალავად მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად".

ჩვენი პარტია, როგორც მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებული რაზმი, აღჭურვილია სოციალისტური ცოდნით და ამიტომ უნარი აქვს ხალხის მასების ბრძოლას უხელმძღვანელოს საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის ეაღრესად რთულსა და ძნელ პირობებში.

მარქსისტულ-ლენინური თეორია იძლევა ორიენტირების ძალას, პერსპექტივის სიცხადეს, გვინერგავს რწმენას მუშაობაში. პარტიის წევრმა ყოველდღიურად უნდა იმუშაოს თავის თავზე, იამაღლოს იდეურ-პოლიტიკური დონე. პარტიის წევრი, რომელიც თავის თავზე არ მუშაობს, ვერ შესძლებს მასების წინამძღოლობას. პოლიტიკურად ცუდად მომზადებული კომუნისტი ვერ შესძლებს განუმარტოს უპარტიოებს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის საკითხები. ასეთი კომუნისტი უფრო ადვილად ექცევა ჩამორჩენილ განწყობილებათა გავლენის ქვეშ, არ ძალუძს სწორი ორიენტირება მიმდინარე მოვლენებში, ხშირად თვითონ კუდში მისჩანჩალებს ჩამორჩენილ განწყობილებებს, ვერ აკრიტიკებს, წინააღმდეგობას ვერ უწევს მათ.

პარტიის წევრი ვალდებულია „უსასტიკესად იცავდეს პარტიულ დისციპლინას, აქტიურად იღებდეს მონაწილეობას პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პრაქტიკაში ატარებდეს პარტიის პოლიტიკას და პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებს"

ჩვენი პარტია ძლიერია თავისი დარაზმულობითა და რკინისებური შეგნებული დისციპლინით. ხოლო რაში მდგომარეობს პარტიული დისციპლინის არსი? იმაში, რომ კომუნისტი შეუპოვრად სძლევს ყოველგვარ სიძნელეს პარტიის პროგრამის, ტაქტიკის, გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. სწორი პარტიული გადაწყვეტილება შეიძლება ჰაერში ჩამოკიდებული დარჩეს, თუ პარტიის წევრები ერთსულოვნად დარაზმული არ არიან მის განსახორციელებლად. პარტიის ყველა წევრთა ნებისყოფის ერთიანობისა და მოქმედების ერთიანობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობა, სოციალისტური მშენებლობის წარმატებები, ფამარჯვებანი, რომლებსაც ახლა გერმანელ დამპყრობთა არმიებზე ვაღწევთ.

ჩვენი დისციპლინა იმით არის მტკიცე, რომ პარტიის წევრები შეგნებულად ახორციელებენ მას. მხოლოდ შეგნებული დისციპლინა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, შეიძლება იყოს ნამდვილად რკინისებური დისციპლინა. შეგნებულ დისციპლინა კი გულისხმობს პარტიის წევრთა აქტიურ მონაწილეობას პარტიული პოლიტიკის საკითხების განხილვაში. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიღებულია, იგი კანონი ხდება პარტიის ყველა წევრისათვის. „კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილების შემდეგ ჩვენ ყველანი, პარტიის წევრები, ვმოქმედებთ როგორც ერთი კაცი" (ლენინი).

ბოლშევიკური პარტიის ისტორია გვასწავლის, თუ როგორ შესძლო პარტიამ გამოემუშავებინა და უაღრესად ძნელ პირობებში შეენარჩუნებინა რკინისებური დისციპლინა თავის რიგებში. პარტიის დისციპლინა, მიგვითითებს ლენინი, არსებობს, მოწმდება და მაგრდება, ჯერ ერთი, პარტიის წევრთა შეგნებულობით, რევოლუციისადმი მათი ერთგულებით, გამძლეობითა და გმირობით, მეორეც, მშრომელთა მასასთან მტკიცე კავშირის დამყარების უნარით და, მესამეც, პარტიის პოლიტიკის, მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორით.

და, მართლაც, პრაქტიკა გვეუბნება, რომ დისციპლინა ეცემა იქ, სადაც პარტიის რიგებში სძვრებიან შემთხვეევითი ადამიანები, ობივატელები, რომელთაც იმედი აქვთ პარტიაში ყოფნა ანგარების მიზნებისთვის გამოიყენონ. ნამდვილი დისციპლინა არც იქ შეიძლება, სადაც პარტიული ორგანიზაცია გაემიჯნა უპარტიოებს, არ რაზმავს მშრომელთა მასებს პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. პარტიული დისციპლინა ირყევა იმ ორგანიზაციებშიც, სადაც იწყნარებენ პარტიის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის დამბინძღებებს. თავისთავად იგულისხმება, რომ პარტია აბორიგელებს ერთიან დისციპლინას, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის უკლებლივ ყველა წევრისათვის.

პარტიის წევრი ვალდებულია „იყოს შრომითი და საზეიმოფიერებიანი დისციპლინის დაცვის ნიმუში, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ ამაღლებდეს თავის სწავლას, საქმიან კვალიფიკაციას".

ბოლშევიკების სიტყვა და საქმე განუყრელია.

ხალხს იმისთვის უყვარს ჩვენი პარტია, რომ პარტიის წევრები ავანგარდში არიან, ესე იგი მუშაობენ და იბრძვიან მოწინავე რიგებში, გვიჩვენებენ ბრძოლაში მამაცობისა და დისციპლინის მაგალითს, თავდადებული შრომის მაგალითებს. იმისთვის, რომ ასეთი ნამდვილი მოწინავე იყო შრომასა და ბრძოლაში, სანიმუშო დისციპლინის გარდა, საჭიროა კიდევ უნარი, ცოდნა შენი სპეციალობისა, განუწყვეტელი ამაღლება შენი ოსტატობისა. აქედან გამომდინარეობს ამოცანა: მუდამ სრულჰყო შენი საქმის ტექნიკის ცოდნა, არასოდეს არ დაკმაყოფილდე მიღწეულის დონეს, ისწავლო, გადაიღო უფრო მცოდნე ამხანაგების გამოცდილება, ამასთან არ ითაკილო ისწავლო უპარტიოებისაგან, უსათუოდ მოეთათბირო მათ.

პარტიის წევრი ვალდებულია „ყოველდღიურად განამტკიცებდეს კავშირს მასებთან, თავის დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებს და საჭიროებებს, განუმარტავდეს უპარტიო მასებს პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა აზრს".

ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა ხალხის მასებთან განუყრელ კავშირში მდგომარეობს. ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკებთან დარგში, სახელმწიფო გეგმის შესრულებაში, გერმანიის ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში უპარტიო მშრომელთა ფართოდ მოზიდვის გარეშე?

ომმა აუცილებელი სიძნელენი წარმოშვა. გამოცდილება გვეუბნება, რომ ისინი უფრო წარმატებით გადაილახება იქ, სადაც კომუნისტები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი უპარტიოებთან, იყენებენ მათს გამოცდილებას, თაოსნობას, საზრიანობას და გაბედულად მიუძღვებიან მასებს სიძნელეთა აღმოსაფხვრელად. ჩვენს პარტიას არ ეშინია სიძნელეებისა. არ ემალება მათ, არამედ პირისპირ ხვდება მათ და რაზმავს ხალხს მათს დასაძლევად. ცუდია ის კომუნისტი, რომელიც მუშაობის ამა თუ იმ უბანზე ყოველგვარ მოუწესრიგებლობასა და უმსგავსოებას, სიძნელეებით ხსნის და ყველაფერს ომს აბრალებს. ხოლო თუ გავერკვევით, გამოდის, რომ არაიშვიათად ბრალი მიუძღვის კომუნისტს. რომელსაც არ შეუძლია უპარტიო ამხანაგებს მონაწილეობა მიაღებინოს საქმეში უწესრიგობათა აღმოსაფხვრელად. თუ, მაგალითად, მუშათა საერთო საცხოვრებელში ჭუჭყია და სასმელი წყალიც კი არ არის, რა შუაშია აქ ომი? პასუხისმგებლობა ასეთი ოუწესრიგებისათვის ეკისრებათ, პირველ რიგში, სამეუფნოს ხელმძღვანელებს, მაგრამ ამ უწესრიგობათ გვერდს გვერ აუვლიან კომუნისტები, რომლებიც იქ ცხოვრობენ ან მიდიან იქ საუბრის ჩასატარებლად, უმსგავსობას კი ვერ ამჩნევენ.

პარტიის წევრს არ შეუძლია გვერდი აუარაოს რაიმე უწესრიგობას, მას ყველაფერი ეხება, იგი ყველგან გალდებულია თავს მცველი პარტიის წარმომადგენლად გრძნობდეს. კომუნისტი მასების წინამძღოლია. ყოველგვარ დავალებას, რომელსაც იგი პარტიისაგან იღებს, ისე ეპყრობა, როგორც ორგანიზატორი. აგიტატორს ვიანდეს საუბარი მოეწყო საერთო საცხოვრებელში. იგი სწორად შეასრულებს დავალებას, თუ მარტო მიმდინარე პოლიტიკის საკითხების განმარტებას კი არ დასჯერდება, არამედ პრაქტიკულ ღონისძიების განახორციელებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ნამდვილად პარტიული ადამიანი განირჩევა თავისი გულითადი—გულისხმიერი დამოკიდებულებით მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებისადმი. პარტიის წევრი თავმდაბლობით განირჩევა. მისთვის უცხოა თავგასულობა, ყოყოჩობა, უფროსულ-ადმინისტრატორული მიდგომა მასებთან.

ასეთია მოკლედ ძირითადი მოვალეობანი, რომლებსაც პარტია თავის ყოველ წევრს აკისრებს. და რაც უფრო თანმიმდევრულად ასრულებს თავის მოვალეობას პარტიის წევრი, მით უფრო მაღალია პარტიული ორგანიზაციის აქტივობა, მით უფრო წარმატებით ეწევა მთლიანად პარტია საორგანიზაციო მუშაობას მასებში, აერთიანებს მთლიანად და ერთი მიზნისაკენ მიმართავს საბჭოთა ადამიანების მთელ ღონისძიებებს, მთელ ჩვენს ძალებსა და საშუალებებს უქვემდებარებს მტრის საბოლოოდ განადგურების საქმეს.

* * *

რა უფლებები აქვს პარტიის წევრს?

საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების მესამე პარაგრაფში ჩაწერილია:

„3. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს პარტიული პოლიტიკის პრაქტიკული საკითხების თავისუფალ და საქმიან განხილვაში პარტიულ კრებებზე ან პარტიულ პრესაში;

ბ) გააკრიტიკოს პარტიულ კრებებზე პარტიის რომელიც უნდა იყოს მუშაკი;

გ) აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიულ ორგანოებში;

დ) მოითხოვოს პირადი მონაწილეობა ყველა შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება გაქმაქვთ მისი საქმიანობისა ან საქციელის შესახებ;

ე) მიმართოს ყოველგვარი შეკითხვით და განცხადებით რომელიც უნდა იყოს პარტიულ ინსტანციას, თვით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტამდე".

ეს უფლებები მონიჭებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იყოს კომუნისტების აქტიური მონაწილეობა პარტიის მუშაობაში. ამასთან ერთად პარტიის წევრების უფლებათა წესდებით განმტკიცებამ პარტიას ხელი მისცა უძლიერესი იარაღი შინაპარტიული დემოკრატიის დამრღვევთა წინააღმდეგ, პარტიულ ორგანიზაციებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჩახშობის წინააღმდეგ სობრძოლველად.

არსებითად პარტიის წევრთა უფლებანი შინაპარტიული დემოკრატიიდან გამომდინარეობენ და მათი გამოყენება განამტკიცებს პარტიას. ლენინის განმარტებით შინაპარტიული დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ „პარტიის ყველა საქმეს აწარმოებს, პირველაბრ ან წარმომადგენელთა მეშვეობით, პარტიის ყველა წევრი, თანაბარი უფლებებით და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე".

და რაც უფრო თანმიმდევრულად იყენებს თავის უფლებებს პარტიის წევრი, მით უფრო სისხლსავსეა პარტიული ცხოვრება, მით უფრო მაღალია კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონე პარტიულ ორგანიზაციაში, მით უფრო მტკიცეა მისი ბრძოლისუნარიანობა. თუ, მაგალითად, პარტიის წევრი ხედავს, რომ ორგანიზაციაში რითმი მახინჯდება პარტიისა და მთავრობის დირექტივები, ხოლო ქვემოდან მოწოდებულ წინადადებებსა და კრიტიკას ყურადღებას არ აქცევენ, იგი ვალდებულია გამოიყენოს თავისი უფლება—განცხადებით მიმართოს ზემდგომ პარტიულ ინსტანციას, გვერდი არ აუაროს პარტიის პოლიტიკის გამრუდებას, ვისი მხრითაც უნდა იყოს იგი ჩადენილი. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ლენინის დებულება, რომელიც ამბობს, რომ პარტიის ყოველი წევრი პასუხისმგებელია პარტიისათვის და პარტია პასუხისმგებელია პარტიის ყოველი წევრისათვის.

ან მეორე მაგალითი. თუ ორგანიზაციის ფორმალურ დამოკიდებულებას ირენს პარტიის წევრის ბედისადმი და, ვთქვათ, კომიტეტი სასჯელს აიღებს ან კიდეც რიცხავს პარტიიდან დაუსწრებლად, ისე, რომ არ მოუსმენია პასუხისგებაში მიცემულის განმარტებანი,—პარტიის წევრს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ წაყენებული ბრალდებანი შემოწმებულ იქნას. მას არაუწყონ გადაწყვეტილება შეუძლია და უნდა გასაჩივროს ზემდგომ პარტიულ ორგანოში.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებაში ჩაწერილი უცილობელი უფლებებით სარგებლობისათვის პარტიის წევრი აქტივობას უნდა იჩენდეს იმ მაღალ მოვალეობათა შესრულებაში, რომელსაც პარტია მას აკისრებს. თუ კი პარტიის წევრი არ მუშაობს თავის თავზე, არ გვიჩვენებს შეგნებულობის, დისციპლინის მაგალითს, გულგრილად ეპყრობა პარტიის გადაწყვეტილებათა დამრღვევებს, — განა შეუძლია მას ისარგებლოს თავისი უფლებით, რათა არჩეულ იქნას პარტიულ ორგანოში? რასაკვირველია, არა.

მაშასადამე, პარტიის წევრის მოვალეობანი და უფლებებს შორის მჭიდრო კავშირია. როგორც მოვალეობებს, ისე უფლებებსაც მიზნად აქვთ აღზარდონ მტკიცე ბოლშევიკები, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილები და ხელი შეუწყონ იმ ამოცანის შესრულებას, რომელიც ორმოცი წლის წინათ დიდმა ლენინმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ჩვენ უნდა ვცდილობდეთ პარტიის წევრის სახელწოდება და მნიშვნელობა ავიყვანოთ სულ უფრო მაღლა, მაღლა და მაღლა".

ბ. ბროდვარსკი

(„პრავდა", 15 მაისი).

გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება პროფესიათა მიხედვით

ქარხნის აქტივის თათბირზე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში 19 მაისს გაიმართა პარტიული და პროფესიული აქტივის თათბირი პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე. პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების ბიუროს სხდომის შესახებ სანფორმაციო მოხსენებით გამოვიდა საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ნეფარიძე. მან აღნიშნა, რომ პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებას აქ ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებს. ზოგ საამქროში ფურცლები „ელვა“ გამოდის არა სისტემატიურად, გარდა ამისა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ შესაძლებელია მოგაწყოთ ერთნაირი ხასიათის საწარმოო დავალებათა შემსრულებელი ბრიგადების შეჯიბრება საქარხნო პირველობისათვის. ეს კი დღემდე არა გვაქვს.

ამ საკითხების შესახებ თათბირზე აზრი გამოსთქვეს ორთქლმავალთა ამწყობი საამქროს პროფორგმა გ. ოსიპოვმა, მექანიკური საამქროს ხარატმა გ. ქსოვრელმა, ნ საამქროს უფროსმა ამხ. დ. პეტრიაშვილმა და სხვ.

თათბირმა მიზანშეწონილად ჩასთვალა ინდივიდუალური პირველობისათვის ბრძოლის გარდა გაჩაღდეს ბრიგადების საქარხნო პირველობისათვის ბრძოლა. ამასთან თათბირმა დაავალა საამქროთა პროფორგებს მოიწესრიგონ ფურცლების — „ელვას“ სისტემატური გამოშვება და პოპულარიზაცია ეყოთ ყოველ მნიშვნელოვან საწარმოო მიღწევას.

„დიდების წიგნის“ კანდიდატები

თბილისის საორთქლმავალო დეპოს მუშათა კოლექტივს ბევრი მოწინავე ზეინკალი, ხარატი, მექანიკი და სხვა პროფესიის წარმომადგენელი ჰყავს. ამ კოლექტივის სახელოვანი წევრები არიან ჩვენი ქვეყნის სოციალისტური შრომის გმირები—ამხ. ნ. გელაძე, ა. წიკლაური და შ. კოხრეიძე.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს XII პლენუმის გადაწყვეტილებათა ჯამიქეფურების შემდეგ დეპოს კოლექტივში ახალი ძალთა გაჩაღდა პროფესიების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრება და ბრძოლა პროფესიების საუკეთესო დამიანთა სახელწოდების მოპოვებისათვის. საამქროებში მოწყობილია „სპატენი დაფა“, გამოდის „ელვა“. დეპოელები თავდადებით ებრძვიან გახდნენ ჩვენი სოციალისტური ტრანსპორტის სახელოვან ადამიანთათვის შეპოვებულ წიგნში—„დიდების წიგნში“ შეტანის ღირსნი.

საამქროში, რომლის უფროსია ორდენოსანი შ. ბიზანაშვილი, „დიდების წიგნის“ მრავალი კანდიდატი ჰყავთ—ზეინკლები, ხარატები, მექანიკოსები და სხვა პროფესიათა წარმომადგენლები. უკანასკნელ ხანებში საწარმოო დავალების სანმიუნოდ შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ზეინკალი ბ. ხმიადაშვილი. მან იმგვარად მოაწყო საქმე თავის სამუშაო უბანზე, რომ დღიურ ნორმას სამმაგად, ხოლო ზოგჯერ 500-800 პროცენტით ასრულებს. ამხ. ბ. ხმიადაშვილი „დიდების წიგნში“ შესატან კანდიდატთა შორის არის ჩარიცხული. მას მინიჭებული აქვს ფუბეის „საუკეთესო ზეინკლის“ სახელწოდება. ამხ. ბ. მაზმანიშვილის ზეინკალთა ბრიგადა ჩაბმულია შეჯიბრებაში ამავე საამქროში მომუშავე ი. მჭედლიძის ზეინკალთა ბრიგადასთან. ორივე ბრიგადა დადგა საწარმოო მაჩვენებლებს გვაძლევს, მაგრამ წინ მიდის ამხ. მაზმანიშვილის ბრიგადა, რომელიც წარმატებით იყენებს რაციონალიზატორულ ღონისძიებებს, სწრაფად აწყობს ორთქლმავლის ბუქსირებას და ამით აჩქარებს ორთქლმავლის სარემონტოდ მოკვდენის დროს.

ხარატებს შორის პირველობისათვის წარმატებით იბრძვიან შ. ბეროშვილი და ა. სიჯარანაშვილი. ჯერ-ჯერობით წინ მიდის ამხ. შ. ბეროშვილი, რომელიც „დიდების წიგნში“ შესატან კანდიდატად არის მიჩნეული. ხარატმა ს. ბოუთინოვმა დეპოში სახელი გაითქვა ახალი კადრების მომზადებით. მან ბევრი ზეინკალი აღზარდა საწარმოს და ახლა მისი ყოფილი მოწაფეები თავის მასწავლებელსაც არ ჩამორჩებიან საწარმოო დავალებათა შესრულებაში. ასეთია, მაგალითად, ახალგაზრდა ზეინკალი ვ. ნიკოლეიშვილი, რომელიც ეჯიბრება თავის მასწავლებელს საამქროს პირველობისათვის.

ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება დეპოს ლენინელ მემანქანეთა შორის „საუკეთესო მემანქანის“ სახელწოდების მოსაპოვებლად. ლენინელ მემანქანეთა შორის ჯერჯერობით ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს გვაძლევს მემანქანე ნ. ჩიგოგიძე.

ლ. ესეფშვილი

საამქროდან საქარხნო პირველობისაკენ

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის პროფორგანიზაციამ (საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს. ზერაბიშვილი) დაგეგმილით მოპკიდა ხელი პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს XII პლენუმის დადგენილებებისა. ამიტომ არის, რომ ქარხანაში თუმცა მრავლად ჰყავთ მოწინავე ადამიანები, მაღალეფექტიანი მრომის ოსტატები, მაგრამ არ იციან რომელია მათ შორის საუკეთესო. აპრილში ქარხნის მოწინავე სტახანოველთაგან დაწინაურდნენ ხარატები — ბ. დანელია, ა. ლაგრაძე, ნ. ლუშჩენკო, ვ. პეტრუკი, მჭედლები—ი. ჩიმჩიური, ვ. შაბუნი, ლითონის მსხმელები — შ. ქავთარაძე, მ. გოლუბევი და სხვ. მაგრამ მათ ებრძოლას საქარხნო პირველობისათვის საქარხნო პროფორგანიზაცია ვერ ჩაუდგა სათავეში. ამ არ ჰქონდათ მოწესრიგებული ყოველდღიური მუშაობის აღრიცხვა. არ ხდებოდა მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება. არ იყო მოწესრიგებული საკაროობა საწარმოო მიღწევათა პოპულარიზაციისათვის.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრების გაშლაში კარგი შედეგები გვიჩვენა ქარხნის იმ საამქრომ, რომლის უფროსია ინჟინერი ა. გოგიშვილი. საამქროს ხელმძღვანელობამ, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყეს ყოველდღიური აღრიცხვა, გაკეთეს საწარმოო მაჩვენებლთა დაფა და გააჩაღეს ბრძოლა საამქროს პირველობისათვის. ამ საამქროში მომუშავე ხარატები, ზეინკლები, მჭედლები და ლითონის მსხმელები დაუღალავად იბრძვიან საამქროს პირველობისათვის. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ხარატები ამხ. პ. დანელია და ნ. ლუშჩენკო. ისინი ხელმძღვანელობენ ფრონტულ ბრიგადებს. შეჯიბრება საწარმოს ბრიგადებს შორის და ამავე დროს ინდივიდუალურად ეჯიბრებიან ერთმანეთს თვით ბრიგადირები ამხ. — დანელია და ლუშჩენკო. მაისის მეოთხე ხუთდღეულში, 15-დან 19 მაისამდე, საბრიგადო შეჯიბრებაში დაწინაურდა დანელიას ფრონტული ბრიგადა, ხოლო ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ამხ. დანელიას წინ უსწრებს ამხ. ლუშჩენკო.

საქარხნო პროფესიული ორგანიზაცია, რომელსაც დახმარება უნდა გაუწიოს საქარხნო პარტიულმა ორგანიზაციამაც (მდივანი ამხ. გ. სულაძე), მოვალეა დაუყოვნებლივ გამაღლოს პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრება ქარხნის ყველა საამქროში. საჭიროა გამოვიყენოთ ამხ. ა. გოგიშვილის საამქროს კოლექტივის გამოცდილება და საამქროს პირველობისათვის ბრძოლა საქარხნო პირველობისათვის ბრძოლად გადავაქციოთ.

ბ. ხენგავა

სამივოლოსელების წარმატება

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის ამ უბანმა, რომელსაც მედალოსანი გ. ფანჩულიძე ხელმძღვანელობს, მაისის პირველი დეკადის 9 დღეში ნახევარი თვის გეგმა შეასრულა და სემიოლოსური უბნის სახელწოდება მიიპყრა.

ჯილდო გამარჯვებულებს

სამამულო ომის პერიოდში წარმოებისადის ახალი კადრების მომზადების საქმეში დიდ მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი რეზერვების სამმართველოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, რკინიგზისა და სახელოსნო სასწავლებლები.

1944 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკაში პირველი ადგილი დიაგეგა თბილისის რკინიგზის მეორე სახელოსნო სასწავლებელმა (დირექტორი ა. ასლანიშვილი), რომელმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა. სასწავლებელს გადაეცა საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი რეზერვების სამმართველოსა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო 10.000 მანეთი.

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოსა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო 10.000 მანეთი გადაეცა აგრეთვე სამმართველოს № 4 საფაბრიკო-საქარხნო სკოლას (დირექტორი ნიკურაძე), რომელმაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საუკეთესო შედეგებს მიაღწია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ — ზესტაფონის № 9 სახელოსნო სასწავლებელი (დირექტორი ზვედიანი), ქუთაისის № 3 რკინიგზის სასწავლებელი (დირექტორი ურუშაძე) და ბორჯომის № 7 სახელოსნო სასწავლებელი (დირექტორი ბოჯიანიძე). მესამე ადგილი დაიკავა წულუკიძის № 8 სახელოსნო სასწავლებელმა (დირექტორი ომიაძე).

ჩამორჩნენ — თბილისის № 1 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა (დირექტორი ა. გოგიჩაიშვილი), ტყიბულის № 6 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა (დირექტორი დოლიძე) და თბილისის № 12 სახელოსნო სასწავლებელი (დირექტორი სამხილაშვილი).

ბ. მინდლაძე

მრეწველობის ახალი ამბები

○ **ფაიფურის თეფშების გამოშვება.** მახარაძის ფაიფურის ქარხანაში, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ ამუშავდა, ათვისებეს ფაიფურის თეფშების წარმოება.

○ **სუფრის მარილის საბადოების შესწავლა.** აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში აღმოჩენილია სუფრის მარილის საბადოები.

მეჯი ყურადღება მექანიზაციორთა კადრების მომზადებას

სამამულო ომის პერიოდში პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტი შეიმატა ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას. 1941 წლის სექტემბრიდან 1944 წლის მარტამდე საქართველოს მტს-ებმა მოამზადეს 10.152 ტრაქტორისტი და 1.087 კომბაინერი, ხოლო მექანიზაციის სკოლებმა — 236 მექანიკოსი, 248 ბრიგადირი, 304 კომბაინერი, 289 შოფერი და 35 ზეინკალი.

მექანიზატორული კადრების მომზადებაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს მახარაძის, ხაშურის, წულუკიძის, კასპის მტს-ებმა, ხოლო ჩამორჩნენ რაფიოლის, ახმეტის, შინდისისა და ბოლნისის მტს-ები.

ზოგიერთ მტს-ში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მექანიზატორული კადრების დაწინაურებისადმი. ალაზნის მტს-მა 1941-42 წლებში კურსდამთავრებულ 79 ტრაქტორისტისაგან გამოიყენა მხოლოდ 18. ამავე დროს მტს-ს აკლდა 52 ტრაქტორისტი და ამის გამო ვერ აწარმოებდა ორცვლიან მუშაობას. ბოლნისის მტს-მა 116 ტრაქტორისტისაგან გამოიყენა 32, სატრაქტორო ბრიგადებში კი ტრაქტორისტებად აუშვებენ სატრაქტორო კურსებდამთავრებულ, დაბალი კვალიფიკაციის პირებს. ასეთივე მდგომარეობაა წითელქალაქისა და ახალციხის მტს-ებში.

ახალ მომზადებულ ტრაქტორისტებთან კარგად მუშაობენ ხაშურის მტს-ის სპეციალისტები. 1943 წელს მათ კარგ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს. მეხუთე სატრაქტორო ბრიგადაში (ბრიგადირი კ. მოსიაშვილი) ტრაქტორები შეუფერხებლად ამუშავეს, დავალება 140 პროცენტით შეასრულეს და დაზოგეს 2.000 კილოგრამი საწვავი, ანალოგიურ კი წარმატებით მუშაობენ 1944 წლის გაზაფხლის გადაბარებით შესრულებისათვის. ანალოგიური ბრიგადაში ახალციხისდამთავრებულმა მ. აკოფოვმა წლიური დავალება 212 პროცენტით შეასრულა და 240 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ანალოგიურ მ. ოკანოვმა საწარმოო დავალება შეასრულა 178 პროცენტით და დაზოგა 252 კილოგრამი საწვავი.

ასეთსავე კარგ მაჩვენებლებს აღწევენ ახალციხისდამთავრებული ტრაქტორისტები შარაქის, წითელწყაროს, წნორის, დუშეთისა და ალაზნის მტს-ებში. მაგრამ ეს არ ითქმის ბოლნისის, ახალსოფლის, წითელქალაქის და ალაზნის მტს-ების ახალციხისდამთავრებული ტრაქტორისტების შესახებ. ამ მტს-ებს არ ჰოუფყვიათ სატრაქტორო ბრიგადებში ტრაქტორების და მისაბმელი მანქანების ტექნიკური მოვლის წესების სწავლება. ამითაც აიხსნება ზოგიერთი ბრიგადის მიერ ტრაქტორების სრული ნაყოფიერებით გამოუყენებლობა.

მტს-ების პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების ამოცანაა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების სერიოზული ყურადღება მიაქცონ. ამის მოითხოვს დედა-სამშობლოს ინტერესები. საჭიროა დაეხმაროთ ახალგაზრდა კადრებს პროფესიების დაუფლებაში, დანიშნულებისამებრ გამოიყენოთ მექანიზატორული კადრები და მით უზრუნველყოთ სატრაქტორო პარკის მაღალნაყოფიერი მუშაობა.

ლ. კოკალიანი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

მოწინავე კოლმეურნეობები

ფოთი („კომუნისტის“ სპ. კორ.). კოლმეურნეობებმა დაამთავრეს სიმინდის თესვა. მომდინარეობს ციტრუსოვანთა ბლანტაციებს კარგად უვლიან სოფელ ჭალადიდის ოქტომბრის სახელობის, სოფელ პატარა ფოთის ჩარკვიანის სახელობის, სოფელ საკორძიოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობები.

პატარა ფოთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე აკ. ხურცილავა) ვადაზე 5 დღით ადრე დაამთავრა თესვა. მოწინავეა მეორე ბრიგადა, რომელსაც სტახანოველი კოლმეურნე ი. თოდუა ხელმძღვანელობს. მერგოლურები გ. ფეტკარაია და ი. სალოგავა სამუშაოთა დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. კოლმეურნე ქალი ქრ. ხურცილავა, რომელსაც 4 შვილი წითელ არმიაში ჰყავს, ფრონტული თავდადებით მუშაობს.

ასეთივე წარმატებით მუშაობენ სოფელ ჭალადიდის ოქტომბრის სახელობის (თავმჯდომარე ა. დემანია), ნინოშვილის უბნის ტელმანის სახელობის და სოფელ საკორძიოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

დაიწყო ნათესების დამუშავება.

ვ. გუჯაბიძე

ვალდებულებებს ასრულებენ

შულავერის მტს-ის კოლექტივი წარმატებით ასრულებს ლაგოდეხელთა მოწოდებას პასუხად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებებს. მტს-მა ნახევარი წლის განმავლობაში 101 პროცენტით შეასრულა. მეოთხე ბრიგადის ბრიგადირმა ი. საბკომ ნახევარი წლის ვეგმა 140 პროცენტით შეასრულა და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა საწვავი მასალა. მოწინავეა პირველი სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი თ. მურადოვი). ბეგმის გადაკარბებით შესრულებასთან ერთად ამ ბრიგადამ დაზოგა 893 კილოგრამი საწვავი მასალა. მეხუთე ბრიგადის ბრიგადირმა ო. ორუჯევმა ნახევარი წლის ბეგმა 165 პროცენტით შეასრულა.

მტს-ის მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მომქირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვა ომიანობის დროის კანონია: საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების დროს მტს-მა დაზოგა 9.000 კილოგრამი საწვავი.

ახლა მტს-ის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ სატრაქტორო სამუშაოთა წლიური ბეგმა 7 თვეში შეასრულოს და მის მომსახურების კოლმეურნეობებში გამარჯვების მოსავალი მოიყვანოს.

ვ. ახვლედიანი

შულავერის მტს-ის უფროსი აგრონომი

მოქმედი არმია. კარპატების მთისპირები. სურათზე: კაპიტან შარიგინის ქვეგანაყოფი იბრძვის რკინიგზის სადგურისათვის.

ფოტო ფ. ჩერნოვისა (საკრედსის ფოტოქრონიკა).

ფაიფეხში

ხურჯინაკიდებული ცხენი თავქვე დაეშვა და ერთი-მეორის მიყოლებით განლაგებულ ფარეხებისაკენ წამოვიდა. ცხენს პატარა ბიჭი მოაგელვებდა. კაცს მონატრებულმა მწყემსებმა უმალვე იცნეს და შეიჩოჩქოლდნენ.

— ცხენი მოუკლავს?!

— რა თავ-პირს იმტვრევდი შე ოჯახქორო!—დასჯიყვლა შუახნის მწყემსმა. პატარა ბიჭი ცხენიდან გადმოხტა. ფლვირის ტოტი კეხს მოსდო. მწყემსებმა მძიმე ტყვრინი გადმოიღეს. ცხენს გარსაკრავი მოუშვეს და ჭოჩორი დაუწყეს... ფარეხის კარებში ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. პატარა ბიჭი წამსვე მისკენ გაექანა.

— ძია სანდრო! თქვენთან გამომპატანეს, რაღაც კარგი სწერიაო!..მან გაზეთი „კომუნისტი“ ამოიღო, სანდროს ჩამოართვა, გაფაციცებით გადათვალიერა. მწყემსებმა ხურჯინი ფარეხში შეიტანეს და სანდროს შემოეხვიენენ... გაზეთმა ყველა მიიზიდა, განსაკუთრებით კი იქ ჩაბეჭდილმა ორიოდე სტრიქონმა: მომხდარა, რაღაც დიდი და სასიხარულო...

* * *

როგორც კი მილეთო მდინარე იორისაკენ დაშეებულ ვაშლიანის სერებს, გველაწყაროს უზარმაზარ ველებს მიადგებით, ალაგ ხეებტვიანს, ალაგ ძეძვნარიანს, ალაგ შიშველ მთაგორებიანს. სოფელ საგარეჯოდან საკმაო ჰომარკებითა გველაწყაროს გული—აქლემების გორა, მართლაც აქლემივით შეჭრილი პირტიტველი იალაღების განლაგებაში; იგი იმდენად მაღალია, რომ საორიენტაციო ნიშნად ადარ არის მიჩნეული, სოფლიდან დაწყებული თვით უშორეს გარეჯის უდაბნოდე! მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი აქლემის გორა იმით არის, რომ მის ფახლობლად მშვენიერი საზამთრო იალაღებია. რა ქარბუქიც უნდა იყოს, რა დიდი თოვლიც უნდა დასდოს, აქ მყუდროებაა. ცხვარი, თუ ძროხა უშიშრად მოელის სურნელოვანი გაზაფხულის ბედნიერებას!.. მწყემსთა ბინები და საქონლის ფარეხები სწორედ აქლემის გორის ძირში, ღელეს გამოღმა გაბეჭილი, აქ იშდენად ბევრია ფარეხები, რომ თამამად შეიძლება დაგვერქვა: „ბინუაყრილების დაბა!“

მწყემსების ცხოვრება თუმცა ხშირად დაძაბული და მოუსვენარია, მაგრამ ისეთი მოუსვენარი კი იშვიათად ახსოვთ, როგორიც ჰქონდათ ამ უკანასკნელ 5 დღეს... დოლის დრო მოახლოვდა. უკანასკნელ შემოწმებაზე გამოიარეკა, რომ ფარეხებში ბევრი რამ წვრილმანი გასაკეთებელია. ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სანდრო ბუზარიაშვილის პირადი მაგალითით გატაცებულმა, მინდორს მიაშურა!.. და აი, ამაღორდა მიწაყრილების დაბა. ბარი და ნირბები ამოძრავდა, ახლოახლო ძეძვის შიშველი ბუჩქები გაიკაფა და ვინ საბატკნე მოამზადა, ვინ სადედე, ვინ სამშრალე და ვინ წნელის ბაკები გაამაგრა, ან ფარეხი ჩაათბუნა—ნორჩი ბამბის ქულების შესახვევრად... დღეისთვის ყოველნაირ სამუშაოს მორჩენენ და მწყემსების გული აიგსო იმ საამური სიამაყით და სიხარულით, რომელსაც თვითეული პატიოსანი ადამიანი გრძნობს სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოხდით... საღამოხანს ძველმა ნაცადმა სარქალმა სანდროს განუცხადა:

— დღეიდანვე დავაწესოთ მორიგეობა, ნაადრევმა ბატკანმა შიგადაშიგ თავი იჩინა, ბრაქები ბლომად გვაქვს!

ის იყო მორჩენენ მორიგეობის დაწესებასაც, რომ პატარა ცხენოსანიც გამოჩნდა და თან მოიტანა ახალი ამბავი...

საერთოდ დიდ შრომას, როგორც დიდი ომის გადახდას, ზეიმი მოსწყურდება ხოლმე! სანდროს დილაადრიან ბიჭი აფრინა სოფელში და საკუთარი ქვევრი მოახდევინა; წელან თოხლ-ეკდილაც წამოიაქციენინ.

ცეცხლი დანთეს, ცხვარი ააფეშხვეს, საკვი გახურდა და ბრგვალი ლავაშები ისე ახროვდა ერთმანეთზე, თითქოს დიდი ქორწილის შემდეგ დიასახლისებმა დარეცხილი თეფშები ააკოლკოლაგესო...

მალე მთლად გამოცოცხლდა მიწაყრილების ბაბა. გზებზე და ბილიკებზე ადამიანები გამოჩნდნენ... მეზობელი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და მწყემსები გულწრფელად ულოცავდნენ სანდრო ბუზარიაშვილს უმაღლეს ჯილდოს.

* * *

სანდრო ბუზარიაშვილი 15 წლისა დაობლდა და ოჯახის მძიმე უღელი, როგორც ძმებს შორის უფროსს, მას დაეწვა. სანდრო თავიდანვე მუყაითი იყო. წრელატეს, ციხეთას, თუ ბურთობას ტყიდან შეშის ზიდვა ან ცხენისათვის ბალახის მოტანა ერჩივნა, ოღონდ ოჯახისათვის ეცადა, მან გამოიახლოა ადამიანი. ნა. სოფლის ბოლოს, რკინიგზის ხემოთ ადგილი აირჩია და სთქვა „აქ სუფთეესო ღვინო დადგებაო“. გაიშვნა ვენახი და ბარლაც:—ამ ადგილზე უკეთესი ღვინო არსად დგებოდა მთელ სოფელში, გავიდა წლები და ბევრმა მიჰბაძა სანდროს. ახლა რკინიგზის სადგურიდან სოფლისაკენ რომ წაბრძანდეთ, ერთ ადგილას, მზარმარკვლინე უთუოდ დაინახავთ ბაღ-ვენახებით აყვავებულ ვეებერთელა ნაკვეთს...

* * *

სოფელ საგარეჯოში რამდენიმე კოლმეურნეობაა! მათ შორის ყველაზე დიდია ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობას უხეირო ხელმძღვანელობა ჰყავდა და საქმე წინ არ მიდიოდა. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ამის ყურადღება მიიქცია. 1943 წლის თებერვლიდან საგარეჯოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ სანდრო აირჩიეს.

საგაზაფხულო სამუშაოები კარს იყო მომდგარი, სანდროს კი კოლმეურნეობაში ბეღელი ცარიელი დაბედა, ქვევრი—ობმოკიდებული, მინდორი—ამალახებული, ვენახი — მოუვლელი, სათიბი—ჩამწყარი. რა უნდა ექნა, რით დაიწყო? იგი ეპირველეს ყოველსა ადამიანების დარაზმვას შეუდგა. მალე ქალები და ბავშვები კი სამუშაოდ გამოვიდნენ. კოლმეურნეობის ვენახები სწრაფად დაისხლა, მინდორში გუთნური გაისმა, ხოლო ფარეხებიდან ყველის დედა და ბუდები მოითხოვეს.

ჩქარა კოლმეურნეობა დაწინაურდა. მან სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულება პირნათლად მოიხადა და თავის წევრებსაც გაუყო მოსავალი. იგი რაიონის 45 კოლმეურნეობიდან მეორე ადგილზე გამოვიდა ყველა მაჩვენებლების მიხედვით.

და აი, კოლმეურნეობის დაწინაურების საქმეში თავისი ღვაწლის სანამსგულად ‘აქ, აქლემის გორის ძირში ამოიკითხა სანდრომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება—მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ მისი დაჯილდოების შესახებ.

* * *

დაბინდდა. აქლემის გორის თხემზე გაუმქნარი თოვლი თეთრად ელვარებს, გრძელი ქედის ნაოჭებში ზავი გორები ისე სჩინან, თითქოს ქვესკნელიდან დეკ-გმირები დგებიან და ვეღარ ამდგარანო... ფარეხიდან მხიარული ყიჟინა ისმის.

შუაგულ ადგილას დიდი ცეცხლი ანთია. ფიჩხისა და თავხეების ჭერი დაქანებით ეშვება ღრმად გამოჭრილ მიწის ხვრეტლებამდე. შეკრეფილთ ულნაგირები, ნაბდები თუ ფარაჯები მარჯვენით ტახტებზე მიეყრიათ, ხოლო წინ წამოუწევიათ სამფეხა სკამები, ყველი და ჯაგრები მაწვნით... ცეცხლის შუქი ისე ანათებს ჭერდაბალ ფარეხს, თითქოს ათი მზე ბრწყინავდეს, მაგრამ საკვირველია, ქვამლის ნასახიც არ ანრის! ეგრე ფიჩხის ჭერში იკარგება შეუმჩნეველად. ამ წუთს ადამიანები კი არ არიან იმდენად საინტერესონი, არამედ მათი ვეებერთელა ჩრდილები, რომელნიც დახრილ ჭერზე აკოცებულან, საყვავესთან თავი მოუყრიათ და ტუტუცი გიგანტები ქვაბს ჩაჰყურებენ — აცა, რას გვიხარშავენო.

მალე მწყემსებმა ვახშმი გააწყეს. მოხუცმა სარქალმა ბეზარამ ყანწი ასწია:

— სანდრო! შენი სახელი მთელი სოფლის სახელია, გილოცავთ ჯილდოს! ღირსი ხარ და დაბაჯილდოვეს კიდეც! თუ შრომაში იმარჯვე, აქაც ითამადე!

ბეზარას სადღეგრძელო ყველამ აღფრთოვანებით დალია. ვიღაცამ წამოიწყო:

„შენ კი გენაცვალე შენა,
შენ ეგრე რამ დაგამშვენა!“.

და ეს ორმოცი კაცი სიმღერით აჰყვა. შიგადაშიგ სანდროს ყიჟინა დასცეს: „მალე სამადლობელი!“.

იგი ერთბაშად წამოხტა ფეხზე სახეგაბრწყინებული...

— დიდხანს სცოცხლობდეს დიდი სტალინი, რადგან ეს სიხარულიც მისგან არის, ის გამარჯვებაც ფრონტიდან რომ გვესმის და ჩვენი ასე ერთად თავის მოყრაც! მტლად დავდებიავართ ყველა მას!

სიმღერა შეწყდა. დახრილ ჭერიდან ელვის სისწრაფით ჩამოცვივდნენ ბუჭერაზი ჩრდილები, მწყემსები ფეხზე ამდგარიყვნენ და აღფრთოვანებით შესძახოდნენ:

— ვაშა, ამაგდარს! ვაშა, დიდ ბელადს!

ხ. მთვარაძე

ჯილდო

ბოლნისი („კომუნისტის“ სპ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობაში კარგად დაიწყო თამბაქოს გადარგვა. ეს სამუშაო წარმატებით მიმდინარეობს სოფელ სარიჩლოს ეროროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. მამეფოვი) აქ კოლმეურნე ქალები სამუშაოზე ორგანიზებულად გამოდიან და რგვის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მოწინავეთა რიგებში არიან: სოფელ ასან ხოჯალის კოლმეურნეობა „პრაგდა“ (თავმჯდომარე გ. მამეფოვი) და სოფელ კოლაგირის კოლმეურნეობა „სოციალიზმი“ (თავმჯდომარე ა. ხალილოვი). სოფელ კაზრეთის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის პირველმა ბრიგადამ (ბრიგადირი ბ. ათაბეგოვი) თამბაქო გადარგო 3 ჰექტარზე, მაშინ როცა სხვა ბრიგადებს თამბაქო მხოლოდ ნახევარ ნახევარ ჰექტარზე აქვთ გადარგული.

თამბაქოს ტადარგვის სამუშაოებს აქტიურებენ სოფელ ბალქის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე ს. ბერიძე), სოფელ დაშტიკლიარის ყდანავეის სახელობის, სოფელ კიანეთის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობებში.

რგვის ვადები იწურება. მთლიანად გამოვიყენოთ ხელსაყრელი ამინდი, დროზე და მაღალხარისხოვნად დავამთავროთ თამბაქოს გადარგვა.

დამასკოს ეარდი

ლაგოდეხი („კომუნისტის“ სპ. კორ.). დაიწყო დამასკოს ვარდის მოსავლის აღება. ვარდის კრეფა პირველებმა დაიწყეს ჩელუსკინელების, კაგანოვიჩის და პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობებმა. ეთერ-ზეთის ქარხანა მომზადებული შეხვდა დამასკოს ვარდის მოსავლის აღებას.

19 ფონა ჩაის პროდუქცია მაისში

ქობულეთი („კომუნისტის“ სპ. კორ.). ჩაის მწვანე ფოთლის მიღებას მომზადებული შეხვდა ხუცუბნის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ა. ანდღულაძე). 14 მაისამდე ფაბრიკამ გამოუშვა 2.160 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ახალი პროდუქცია. ფაბრიკა მაისში გამოუშვებს 19 ტონა მზა პროდუქციას.

კომუნისტები გამარჯვების მოსავლისათვის ბრძოლაში

გალის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსავლისათვის. კომუნისტები შეჯიბრების ავანგარდში არიან, მაღალნაყოფიერი მუშაობის მაგალითებს გვიჩვენებენ და დიდ პოლიტიკურ-ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან.

სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. ახვლედიანი) საკოლმეურნეო წარმოების ყოველდღიურ ცხოვრებას იცნობს. პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე სისტემატიურად იხილავენ როგორც ბრიგადებში, ისე რგოლებში შრომის ორგანიზაციის, დისციპლინის განმტკიცების საკითხებს. პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით მახარაძელ კოლმეურნეთა მიმართვის განხილვისადმი მიძღვნილ საერთო კრებაზე მიღებულ იქნა დადგენილება: მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი გაადიდონ 30 ჰექტარით, ათვისონ 50 ჰექტარი ყამირი მიწა, მოაწყონ 20 სტახანოვური ჰექტარი, გასულ წელთან შედარებით მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა გაადიდონ 100 პროცენტით და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 150.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 60 ტონა თამბაქო, 10 ტონა ციტრუსების ნაყოფი, მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 110 პროცენტით.

აქ 37 კომუნისტიდან 32 მინდვრად მუშაობს. თვითეული მათგანი 2-3-4 და 5 ნორმას ასრულებს.

მემინდვრეობის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ამხ. კ. ჯგუბურია ხელმძღვანელობს, ადამდე და მაღალხარისხოვნად ასრულებს დავალებებს. ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებულზე 10 დღით ადრე დამთავრა სიმინდის თესვა, თამბაქოს პლანტაციისათვის ნიადაგის გადაბარვა, მინდვრად გაიტანა 60 ტონამდე ნაკელი. ბრიგადირი თავდადებულად ებრძოლა, ამხ. ჯგუბურია ამავე დროს ინტენსიურ-ორგანიზატორია. დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ კომუნისტები ამხ.

დეპეშები

თურქეთის მთავრობის ცნობა პანთურქისტების საქმიანობის გამო

ანკარა, 19 მაისი (საკდესი). გამოქვეყნებულია მთავრობის ცნობა ამ დღეებში აღმოჩენილი არალეგალური პანთურქისტული ორგანიზაციის გამო. ცნობაში აღნიშნულია, რომ თურქეთის სამხედრო ხელისუფლებამ ჩხრეკა მოაწყვა სტამბოლსა და ანკარაში იმ სადგომებში, რომლებიც რასისტულ პანთურქისტულ ჟურნალ „ორხუნ ნიხალ ატსიზმის“ პატრონს და მის თანამშრომლებს ზეკი ფელიდს, ოღუზ თურქანს და სხვებს ეკავათ. ჩხრეკის დროს აღმოჩენილ და კონფისკებულ იქნა მათი მაბხილებელი სხვადასხვა დოკუმენტები, კოდები და შიფრები.

ცნობაში ნათქვამია, რომ „კონფისკებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ეს პირები ისახავდნენ მიზნებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან თურქეთის კონსტიტუციის პრინციპებს, ამ მიმართულებით ეწეოდნენ აქტიურ საქმიანობას, იმუშავებდნენ გეგმებს და ხელს აწერდნენ სხვადასხვა შეთანხმებას“.

ბულგარეთის დუნაის ნავსადგურები თავშესაფარია გერმანელთა სამხედრო გემებისა და ჯარებისათვის

სტამბოლი, 19 მაისი (საკდესი). ჟურნალისტთა წრეებში ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვარზე წითელი არმიის გასვლისა და რუმინეთის ტერიტორიაზე მისი შესვლის შემდეგ გერმანელებმა, რომლებსაც ეშინოდათ საბჭოთა ავიაცია რუმინეთის დუნაის ნავსადგურებს დაარტყამსო, იწყეს თავიანთი დუნაის ფლოტის გადაყვანა და თავიანთი სამხედრო საწყობების გადატანა რუმინეთის ნავსადგურებიდან ბულგარეთისაში. ბულგარეთის ნავსადგურებში თავშესაფარს პოულობენ აგრეთვე რუმინეთის გემები. ცნობილია, მაგალითად, რომ გერმანელთა და რუმინელთა ტანკერები რუმინეთის ჯურჯუს ნავსადგურში ნავთის ჩატვირთვის შემდეგ გაემა ნაპირისაკენ მიდიან და ბულგარეთის ნავსადგურ რუშჩუკში აფარებენ თავს. გერმანელები, რომლებსაც დუნაით გადმოყავთ ჯარები, გადმოაქვთ სამხედრო საბურველი და საწვავი, იყენებენ ბულგარეთის ნავსადგურებს ვიდინს, ლომს, ნიკოპოლს, სვიშჩოვს, რუშჩუკს, ამნარად, ბულგარელი ხელისუფალნი ბულგარეთის მთავრობის ხელშეწყობით მფარველობენ და ეხმარებიან ჰიტლერელებს ბულგარეთის დუნაის ნავსადგურების გამოყენებაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ვაშინგტონის შვაბის სენაგის გადაწყვეტილება იუგოსლავიის საკითხზე

ნიუ-იორკი, 14 მაისი (საკდესი). „საშინაო-სლავთა წარმოშობის ამერიკელთა გაერთიანებულმა კომიტეტმა“ თავის ბიულეტენში ცნობა გამოაქვეყნა, რომ ვაშინგტონის შტატის სენატმა ამას წინათ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ ოფიციალურად იცნოს პარტიზანთა მთავრობა იუგოსლავიაში „როგორც დემოკრატიული იუგოსლავიის წარმომადგენელი ჩვენს საერთო ბრძოლაში ღერძის ქვეყნების წინააღმდეგ. ეს ბალკანეთის ხალხებს შესაძლებლობას მისცემდა გაერკვიათ თავიანთი მომავალი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ხასიათი, ამასთან უზრუნველყოფდა მათს ნამდვილ დემოკრატიულ ნაციონალურ განვითარებას“.

რეზოლუციაში სენატი გამოდის წინააღმდეგ „რეაქციული ელემენტებისა იუგოსლავიის ემიგრანტულ მთავრობაში, რომელნიც სარგებლობენ ანტიდემოკრატიული ძირგამოთხრილი მეთოდებით, რათა უზრუნველყონ ომის შემდეგ ანტიდემოკრატიული მთავრობა იუგოსლავიაში“. რეზოლუცია ქებას ასხამს ტიტოს სამხედრო ხელმძღვანელობას, რომელმაც უზრუნველყო ბრწყინვალე წინააღმდეგობა ღერძის ქვეყნების ძალებისადმი, ისევე როგორც იუგოსლავიის დიქტატორული მთავრობის რეაქციული ძალებისადმი. რეზოლუციაში ნათქვამია, აგრეთვე, რომ პარტიზანებს შემოგილი ჰყავთ გერმანიის 16 დივიზია, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებულ იქნებოდნენ ამერიკის ჯარების წინააღმდეგ იტალიაში. ამით პარტიზანები სიცოცხლეს უნარჩუნებენ ათასობით ამერიკელს.

იუგოსლავიის პუტიჩის მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). ინგლისის პრესა დღეს იუწყება, რომ იუგოსლავიის პუტიჩის კაბინეტი მთავრობა გადადგა. არსებული ცნობებით, ახალი კაბინეტის შექმნა მინდობილი აქვს შუბაშიჩს. შუბაშიჩმა მიიღო ეს წინადადება იმ პირობით, რომ გენერალი მიხაილოვიჩი, რომელიც პუტიჩის მთავრობაში სამხედრო მინისტრად იყო, შეყვანილი არ იქნება ახალი კაბინეტის შემადგენლობაში.

გაზეთები იუწყებიან, რომ შუბაშიჩი ხორვატის გლეხთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერია და მას იუგოსლავიაში პიტლერელთა შეჩრამდე ხორვატიის ბანის (გუბერნატორის) პოსტი ეკავა. უკანასკნელ დროს შუბაშიჩი ემიგრაციაში იმყოფებოდა ნიუ-იორკში.

მდგომარეობა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 20 მაისი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ იუწყება, არგენტინის პრეზიდენტ ფარელის გადაწყვეტილებით დაპატიმრებულია არგენტინის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, რომლებზეც ეჭვი აქვთ, რომ ისინი მთავრობის დამხობისაკენ მიმართულ საქმიანობას ეწევიან.

არგენტინის მთავრობამ გააძლიერა შეერთებული შტატებისა და ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი. კერძოდ, გაზეთი იუწყება, რომ არგენტინის მთავრობამ აკრძალა არგენტინის რადიოთი ინგლისური და ამერიკული პროგრამების გადაცემა.

ძლიერდება ფინეთის მოსახლეობის გაქცევა შვეციაში

სტოკჰოლმი, 20 მაისი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, შვეიცარიაში თითქმის განუწყვეტელ ნაკადად ჩადიან ფინელი ლტოლვილები გაზეთი „არბეტარენი“ იუწყება, რომ ბოტნიის ყურეზე შვეციაში გადაგიდა კიდევ 85 ლტოლვილი ფინელი.

ჰონორე დე ბალზაკი

(დაბადებიდან 145 წლისთავის შესრულების გამო)

ენგელსმა მაღალი შეფასება მისცა „მოხუცი ბალზაკის“ დამსახურებას. დიდმა მწერალმა შეუდარებელი ოსტატობით დაგვიხატა საფრანგეთის გასული საუკუნის 20-იან—30-იანი წლები. ეს იყო პერიოდი, როცა ლიტერატურაში ბატონობდა რომანტიკული სკოლა და წარსულის გაიდეალება ერთგვარ მოდად იყო ქცეული. ბალზაკმა სხვა გზა აირჩია, ის წარსულზე არ ოცნებობს. მას აინტერესებს თანამედროვეობა. ვის აინტერესებს ის, რაც მის გარშემო ხდება. მას არ იზიდავს ზღაპრული პიროვნება და დემონიური ბუნება ადამიანისა. მაშინ ძალაუფლება ბანკირმა იგდო ხელთ და საზოგადოებრივი ცხოვრების ენტრში ბანკირი იდგა. ამიტომ, ბალზაკი სწერდა არა „ცეზარისა, სარდალისა და იმპერატორის შესახებ, არამედ ვაჭრის, პარფიუმერის ცეზარ ბიროტოს“ შესახებ. იგი გვიჩვენებდა „ტიპიზირებულ ინდივიდუალობას“ და „ინდივიდუალიზებულ ტიპს“. მისი რომანების გმირები არიან მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის საფრანგეთის საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები.

პირველი ნაწარმოები „შუანერი“ ბალზაკმა 1824 წელს გამოაქვეყნა. მას მოჰყვა „გობსეკი“, რომელმაც მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. 1831 წელს მან გამოაქვეყნა ფილოსოფიური რომანი „შაგრენის ტყავი“ და დაიწყო ასევე რომანი „30 წლის ქალი“. ამ ორმა ნაწარმოებმა ბალზაკს სწრაფად გაუთქვა სახელი. ყოველ მის წიგნს კრიტიკა და მკითხველი საზოგადოება ზეუთმენლად ელოდა. მაგრამ წარმატებამ ვერ თავბრუ როდი დაახვია. ბალზაკი განაგრძობდა დაუღალავ შრომას. ნაყოფიერების მხრივ მას იშვიათად თუ ვინმე შეედრება. დღეში 15-16 საათი მუშაობდა, ხშირად ღამეებს ათენებდა. წელიწადში 3-4 რომანს აქვეყნებდა.

ბალზაკმა მწერლის ზეშობაში ახალი მეთოდი დაამკვიდრა. მან უარჰყო რომანტიკოსების მტკიცება, რომ შემოქმედება მოითხოვს ალმაფრენას, ზეშას. ბალზაკი სწერდა სისტემატურად, დაწესებულ საათებში და

არ უცდიდა ალმაფრენას. მიუხედავად ამისა, მისი ნაწარმოებები მაღალმხატვრული ღირსებით გამოირჩევიან. მუშაობის ეს მეთოდი შემდეგ ე. წ. ნატურალისტებმა გადაიღეს. ბალზაკი ეძებდა ფაქტებს, იკვლევდა მათ მიზეზებს და შემდეგ აყალიბებდა ამ ფაქტებს მხატვრულ ნაწარმოებში. იგი თავის თავს საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარად სთვლიდა.

1834 წელს ბალზაკმა გადასწყვიტა შეექმნა მრავალტომიანი ნაწარმოები, რომელიც მაშინდელი საფრანგეთის მთლიან სურათს ეჩვენებდა მკითხველს. ამ ნაშრომს მან „ადამიანური კომედია“ უწოდა. „ადამ ანური კომედია“ 143 ნაწარმოებისაგან უნდა შემდგარიყო. ბალზაკმა მხოლოდ 92-ს დაწერა მოასწრო. განსაკუთრებით განუხორციელებელი დარჩა ის ნაწილი. რომელსაც მან უწოდა „სცენები სამხედრო ცხოვრებიდან“.

„ადამიანური კომედია“ გვიხატავს იულისის რევოლუციის შემდგომი საფრანგეთის ყველა წოდების ცხოვრების სურათებს. ეს არის მისი დროის საფრანგეთის ისტორია, რომელსაც საფუძვლად უდევს ფიქრები. ამიტომ არის, რომ მას მთავარ გმირებად სიმდიდრის მაძიებლები გამოჰყავს. ზოგი იღუპება ფულებისათვის ბრძოლაში (ლუსიენი „დაღუპული ოცნებებიდან“), ზოგიც უდიდეს წარმატებას აღწევს (რასტინიაკი რომანიდან „მამა გორიო“).

ბალზაკი დიდი შემოქმედი იყო და ხატავდა რა მისი დროის ფრანგი საზოგადოების ცხოვრებას, უნდოდა მას თუ არა, გვიჩვენებდა ნამდვილ სურათებს, ადამიანთა ნამდვილი ურთიერთობის სცენებს. ამიტომ ბალზაკის შემოქმედების დიდი ობიექტიური შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მის ნაწარმოებთა მიხედვით ღრმად ვეცნობით XIX საუკუნის საფრანგეთის ცხოვრებას. აღწერდა რა ამ ცხოვრებას მეუდგომლად, ბალზაკი ძალაუნებურად გვაძლევდა მის კრიტიკას. გობსეკი მაოხოვარივით ცხოვრობდა, მაგრამ ხელში ეკავა მთელი პარიზი. მოხუცი გრანდე ყოველ ნატეხ შაქარს ითვლიდა, თუმცა მთელ პროვინციაში უმდიდრესი კაცი იყო. ბალზაკი არ ფარავდა ამ დიდ უარყოფით მოვლენებს.

ბალზაკის შემოქმედებაში რეალისტი მხატვრის უდიდესი ძალით აისახა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები. მან შესძლო თავისი ეპოქის ტიპიური ხასიათები სწორად გადმოეცა ტიპიურ გარემოებებში. ბალზაკმა თავისი შემოქმედებით დაამტკიცა, რომ თუ მწერალს ნიჭი და უნარი შეწევს, მას შეუძლია ყოველგვარი „დისტანციის“ გარეშე ასახოს მისი თანამედროვე ეპოქა დიდ ტილოებში.

ბალზაკის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ მარქსიზმის კლასიკოსები. ეს შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის განძს წარმოადგენს.

პირველი ფრთენული

(გამოცდები თბილისის ქალთა მე-3, საშუალო სკოლაში)

სკოლაში საზეიმო განწყობილებაა. მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც შეამჩნევს აღელვებას. ღელავენ მოსწავლეები, ღელავენ მასწავლებლებიც. ბუნებრივია ეს, რადგან დღეს იწყება სკოლის კოლექტივის მთელი წლის ნამუშევრის შემოწმება. დღეს მოსწავლეები და მასწავლებლები საშობლოს გამოცდას აბარებენ ომში, თუ რა წესები დაინერგა სასწავლო წლის მანძილზე, რა ცოდნა მიიღეს მოსწავლეებმა. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ეს წელი, რადგან ამ წლის მანძილზე მრავალი ახალი ღონისძიება განხორციელდა სკოლის ცხოვრებაში.

I-ელ 8 საათზე იწყება გამოცდები მეათე კლასში. დღეს საგამოცდო წერაა ქართულ ლიტერატურაში. მოსწავლე გოგონა საგნის მასწავლებლის კარნახით დაფაზე გარკვეული ხელით სწერს საგამოცდო თემებს: „ქალთა სახეები ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ და „პატრიოტიზმი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში“. ორივე ნაცნობი თემაა, თუმცა განვლილი წლების პროგრამიდან აღებული. საკვირაოა წარსულ წლებში შესწავლილი მასალის გონებაში აღდგენა, მისი ჩამოყალიბება და დალაგება. საგნის მასწავლებელი ფ. კალანდაძე მცირე განმარტებას იძლევა. მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ. კიდევ რამდენიმე წუთი და იწყება მუშაობა. ზოგის ხელი სწრაფად მოძრაობს საგამოცდო ფურცელზე, ზოგი ძაძიდ სწერს.

უმრავლესობა მეორე თემას ირჩევს. დიდი ქართველი ლირიკოსის პატრიოტიზმი ახლოა ჩვენთან, იხმაურება ! საბჭოთა ადამიანების, საბჭოთა მოსწავლეების განცდებს, აღარეკავს მათ სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულსა და მტრისადმი წმიდა სიძულვილის ენძნობით.

ცა-ფიროზ, ხმელეთ-ზურგუბტო.
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებოლეარ
მკურნალად შემეყარეო.

პოეტის ამ უკვდავი სტრიქონებით იწყებს მოსწავლე თ. დომბორეგინიძე თემას.

წარჩინებული მოსწავლე, კომკავშირელი ლინა ერისთავი პირველ თემას ირჩევს. მან ოემას ეპიგრაფად ვაჟას „ბაბტრიონის“ გმირი ქალის ლელას სიტყვები წაუმძღვარა. ლინა პირველად შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხვისტყაოსანი“ გვიხატავს ინდოეთის ოქროს ხანის ფერადოვანი ატმosფეროთი. ეს ეპოქა ბრწყინავს ადამიანური ურთიერთობის ზეაღმავალი ფორმებით